რეჟიმის ტრანსფორმაციის გარე განზომილებები პოსტსაბჭოთა სივრცეში: ნეგატიური ეგზოგენური აქტორი და გამფილტრავი ელიტები

გიორგი ლიქოკელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ლიქოკელი

24.03.2026

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის რეჟიმის ტრანსფორმაციის გარე განზომილებებს პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოსა და ბელარუსის შემთხვევებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ახსნას, როგორ მოქმედებენ ევროკავშირი და რუსეთი, როგორც კონკურენტი პოზიტიური და ნეგატიური ეგზოგენური აქტორები, ერთმანეთის კავშირის/ზეგავლენის შესასუსტებლად და როგორ ფილტრავენ მმართველი ელიტები გარე გავლენებს განსხვავებული რეჟიმული შედეგების მისაღებად. ნაშრომი ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს კავშირის ინდექსის კონსტრუირებას, სტატისტიკურ ანალიზს, კონტენტ და დისკურს ანალიზს, სამაგიდო კვლევას და პროცესის მიდევნებას. კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთთან კავშირის არსებობა თავისთავად არ არის საკმარისი დემოკრატიული შედეგების მისაღებად. ბელარუსში მმართველი გამფილტრავი ელიტის სტრატეგიული არჩევანი იყო, რომ ევროკავშირთან კავშირი დაბალი და კონტროლირებადი დარჩენილიყო; ხოლო, რუსეთზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებას ავტორიტარული სტაბილურობის ფუნქცია ჰქონოდა, რაც ევროკავშირის ზეგავლენის ეფექტიანობას ამცირებდა. საქართველოში ევროკავშირთან კავშირი შედარებით ძლიერი დარჩა, თუმცა მისი დემოკრატიზაციული ეფექტი თანდათან შეიზღუდა მმართველი ელიტის შერჩევითი გაფილტვრის შედეგად; განსაკუთრებით 2022 წლის შემდეგ, ევროკავშირის მოთხოვნები უფრო ხშირად წარმოჩნდა სუვერენიტეტის, მშვიდობისა და ღირებულებებისთვის საფრთხედ. ნაშრომის მთავარი მიგნებაა, რომ დასავლური კავშირის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ინტენსივობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად ძლიერია რუსეთის გავლენა და როგორ ხდება გარე კონტაქტების მართვა შიდა ელიტების მიერ.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიზაცია; ავტოკრატიზაცია; ევროკავშირი; რუსეთი; რეჟიმის ტრანსფორმაცია; დასავლური კავშირი.

Abstract

This master's thesis examines the external dimensions of regime transformation in the post-Soviet space through the cases of Georgia and Belarus. The study aims to explain how the European Union and Russia, as competing positive and negative exogenous actors, act to weaken each other's linkage and leverage, and how ruling elites gatekeep external influences to produce different regime outcomes. The thesis is based on a mixed methodology, that combines construction of a linkage index, statistical analysis, content and discourse analysis, desk research, and pocess tracing. The research shows that the existence of linkage with the West is not sufficient by itself to produce democratic outcomes. In Belarus, the strategic choice of the ruling gatekeeper elite was to keep linkage with the European Union low and controlled, while political and economic dependence on Russia served the function of authoritarian stability, thereby reducing the effectiveness of EU leverage. In Georgia, linkage with the European Union remained relatively strong, but its democratizing effect was gradually limited through the selective filtering of the ruling elite. Especially after 2022, EU demands were increasingly framed as threats to sovereignty, peace, and values. The main finding of thesis is that the effectiveness of Western linkage depends not only on its intensity, but also on the strenght of Russian influence and on how external influences are managed by domestic elites.

Keywords: democratization; autocratization; European Union; Russia; regime transformation; Western linkage.

მადლობა

ამ ნაშრომის მომზადება ჩემთვის მნიშვნელოვანი აკადემიური გამოცდილება იყო. მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს იმ ცოდნის, გარემოსა და შესაძლებლობებისთვის, რომლებმაც ხელი შეუწყო ჩემი აკადემიური ინტერესების ჩამოყალიბებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას და სამომავლო აკადემიური თუ პროფესიური გზის უკეთ განსაზღვრას.

განსაკუთრებულთ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის. მისი რჩევები, შენიშვნები და ყურადღება მნიშვნელოვანი იყო კვლევის სწორად წარმართვისა და ნაშრომის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობრებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროცესში გვერდში მედგა. მათი მხარდაჭერა და გამხნევება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში.